## ხელშეკრულება №1/090221/1
## ძაღლების დაჭერა-გაყვანის მომსახურების გაწევის შესახებ

ქ.თბილისი 9 თებერვალი, 2021 წელი

ერთის მხრივ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ - „რუსთავსერვის ცენტრი" , წარმოდგენილი სერვის ცენტრის დირექტორის მოადგილის ზადრი მოდებაძის სახით (შემდგომში ცენტრი) ს/კ416316016 და მეორეს მხრივ, სსიპ „შემოსავლების სამსახური" სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „პირი"), იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ №204525585; სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### მუხლი 1.ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი"-ს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 იანვრის N107 ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ ა(ა)იპ"- რუსთავსერვის ცენტრი"-ს წესდებაში და მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი"-ს მიერ საკუთარი ტექნიკით და შრომითი რესურსებით დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით კერძო და ფიზიკური პირებისადმი შეთავაზებული სხვადასხვა მომსახურების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ აუდიტორის დასკვნა (იხ.დასკვნა-32ფ.) საფუძველზე, ცენტრის მიერ პირისათვის ცალკეული მომსახურების გაწევა.

### მუხლი 2. მომსახურების სახე და საფასური

1. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ცენტრის მიერ პირისათვის გაწეული იქნება დადგენილებით გათვალისწინებული შემდეგი მომსახურება/მომსახურებები **(CPV98341000 დაბინავებასთან დაკავშირებული მომსახურება):**
ა) სტერილიზაცია-79,30 ლარი
ბ) კასტრაცია-61,40 ლარი
გ) ვაქცინაცია (ანტირაბიული)-თავშესაფარში-10-ლარი, ადგილზე-20ლარი
დ)ევთანაზია თავშესაფარში გადმოყვანით-40ლარი (წარმოდგენილი ვეტერინარული დასკვნის საფუძველზე)
ე) რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კერძო საკუთრებიდან ცხოველის გაყვანა-50 ლარი
ვ)**სხვა მუნიციპალიტეტის კერძო საკუთრებიდან ძაღლის გაყვანა -50ლარი, დამატებული გზის საფასური 1 კმ-1 ლარი, (CPV98341000 დაბინავებასთან დაკავშირებული მომსახურება):**
2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებ(ებ)ის საერთო საფასური განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე შედგენილი აქტის შესაბამისად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს (დაჭერილი ცხოველების რაოდენობის) მოცულობის საფუძველზე.
მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.
**მომსახურების მთლიანი საფასური: 4900.00 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარი.**

### მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2. ცენტრი ვალდებულია უზრუნველყოს პირისთვის ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურებ(ებ)ის გაწევა.
3. პირი ვალდებულია ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საფასური გადაიხადოს შესაბამისი მომსახურების გაწევიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად **გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.**
4. ცენტრი არ აგებს პასუხს ამ ხელშეკრულების საფუძველზე დაჭერილი და ტერიტორიიდან გაყვანილი ცხოველების იგივე ტერიტორიაზე დაბრუნების შემთხვევაში და მათი გაყვანისთვის გადახდილი საფასური უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.
5. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ მეორე მხარეს ამ ხელშეკრულებით და წესით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

6. მომსახურებ(ებ)ის გაწევის შემდეგ, მხარეთა შორის ფორმდება აქტი, სადაც აისახება ცენტრის მიერ გაწეული ცალკეული მომსახურებ(ებ)ი, მათი მოცულობა და საერთო საფასური, ასევე მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების აქტი.
7.ინსპექტირების აქტზე ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის"-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი
**8.მიღება ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირები:მომსახურების გამწევი_ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრის "უპატრონო ცხოველების ოპერირების განყოფილების უფროსი: ელიზბარ თუშური, მომსახურების მიმღები: სსიპ „შემოსავლების სამსახური", ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე**

## მუხლი 4. სხვა პირობები

1ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მისი მოქმედება გრძელდება მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებამდე.
**ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**
2. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ.
3. ხელშეკრულების შეწყვეტა ვადამდე შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.
4. ცენტრს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება პირის მხრიდან დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს პირს დავალიანების გადახდის ვალდებულებისაგან.
5. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

## მუხლი 5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი" ს/ნ416316016
იურიდიული მისამართი: ქ.რუსთავი, კოსტავას გამზირი N20
ფაქტობრივი მისამართი: ქ.რუსთავი ყაზბეგის N2
ტელეფონი: 0341276040
ელ.ფოსტა: Rustavi.service.centre@gmail.com
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა,
ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კოდი TRESGE22
მიმღების კოდი:743127499,

„რუსთავსერვის ცენტრის" დირექტორის მოადგილე

ბადრი მოდებაძე

Rustavservice Center Digitally signed by Rustavservice Center Date: 2021.02.09 16:51:56 +04'00'

სსიპ "შემოსავლების სამსახური"
ს/კ204525585
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
კოდი:TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი70701

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

მიხეილ ახვლედიანი

REVENUE SERVICE Digitally signed by REVENUE SERVICE Date: 2021.02.09 18:25:00 +04'00'

# საქართველო

## ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის

# ბრძანება

საქართველო, ქალაქი რუსთავი

N 606

https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/

606-02-4-201906201141

20/06/2019

**არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ქალაქ რუსთავის დასუფთავება"-ს ახალი სახელწოდების განსაზღვრისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,რუსთავსერვის ცენტრი"-ს წესდების დამტკიცების შესახებ" ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 იანვრის N107 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შევიდეს ცვლილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ქალაქ რუსთავის დასუფთავება"-ს ახალი სახელწოდების განსაზღვრისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,რუსთავსერვის ცენტრი"-ს წესდების დამტკიცების შესახებ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 იანვრის N107 ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ ა(ა)იპ ,,რუსთავსერვის ცენტრის" წესდებაში (დანართი N1) და მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ზ) ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე მყოფი უპატრონო, მიუსაფარი ძაღლების მოვლა-პატრონობა, გარდა კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მყოფი უპატრონო, მიუსაფარი ცხოველებისა. კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე მყოფი ცხოველების თაობაზე მესაკუთრეების მომართვის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას ააიპ ,,რუსთავსერვის ცენტრი" უფლებამოსილია იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. "
2. დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,რუსთავსერვის ცენტრის" დირექტორს გიორგი გოროზიას (პ/ნ 62011002197) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,რუსთავსერვის ცენტრის" (ს/ნ 416316016) წესდების ცვლილების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სსიპ ,,საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" დარეგისტრირება.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი ტაბაღუა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

შ.პ.ს. „ჯენერალ - აუდიტი"

# აუდიტორის დასკვნა

## ა.ა.ი.პ. „რუსთავსერვის ცენტრი"-ს

მიერ საკუთარი ტექნიკით და შრომითი რესურსებით
დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით კერძო იურიდიული
და ფიზიკური პირებისადმი შეთავაზებული
სხვადასხვა მომსახურების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების
საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ

ქ. რუსთავი
2019 წ.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

# შპს „ჯენერალ-აუდიტი“
# "GENERAL AUDIT" LLC

რეგისტრირებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ 26.02.2004 წ. რეგ. №5/ბ-220
საიდენტიფიკაციო კოდი 216400160 აუდიტორის საკვალიფიკაციო სერთიფიკატი ზ№6/311
Registered by Court of law of Rustavi 26.02.2004. reg. № 5/b-220 Identific code 216400160
Auditor qualification certificate z№6/311
საქართველო, ქ.რუსთავი 3700, არაყიშვილის ქ. №6/8
6/8 Arakishvili str., Rustavi 3700, Georgia

P R A E M O N I T U S P R A E M U N I T U S


ქ. რუსთავი

09.09.2019წ.

## *აუდიტორის დასკვნა*

### ააიპ „რუსთავსერვის ცენტრი“-ს (ს/კოდი: 416316016) მიერ საკუთარი ტექნიკით და შრომითი რესურსებით დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით კერძო იურიდიული და ფიზიკური პირებისადმი შეთავაზებული სხვადასხვა მომსახურების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ

წინამდებარე აუდიტორის დასკვნა მომზადებულია შ.პ.ს. „ჯენერალ-აუდიტის“ (აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაციის №SARAS-F-911879, ბრძანება №84, დანართი №1) აუდიტორის ზაზა ლომიძის მიერ (აუდიტორული საქმიანობის 21 წლის სტაჟი, აუდიტორების რეესტრში რეგისტრაციის №SARAS-A-977639, ბრძანება №85, დანართი №2, აუდიტორის საკვალიფიკაციო სერთიფიკატი ზ№6/311), უძრავი ქონების შემფასებლის სერთიფიკატი №078 (მოქმედების ვადა 04.03.2020წ. დანართი №3).

დამკვეთის, ააიპ „რუსთავსერვის ცენტრი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №416316016) იურიდიული მისამართი: ქ. რუსთავი, ყაზბეგის ქუჩა №2, ამონაწერი მეწარმეთა და ააიპ რეესტრიდან №B19069977, მომზადებული 25.06.2019 წელს, დანართი №4) დირექტორის ბატონი გიორგი გოროზიას მომართვისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკისა და მოქმედი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ჩვენ ჩავატარეთ შეთანხმებული აუდიტორული პროცედურები მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ააიპ „რუსთავსერვის ცენტრი“-ს მიერ საკუთარი ტექნიკით და შრომითი რესურსებით დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით კერძო იურიდიული და ფიზიკური პირებისადმი შეთავაზებული სხვადასხვა მომსახურების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის დადგენისა და სათანადო დასკვნის გაცემის მიზნით.

ჩვენი საქმიანობა წარმართული იყო მსგავსი მომსახურებისთვის დადგენილი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის (ფასს-4400 „გარიგებები ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე“) შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულ პროცედურებთან დაკავშირებით გამოიყენება.

2

წინამდებარე საექსპერტო დასკვნაში ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები დაფუძნებულია ჩვენს შინაგან რწმენასა და პროფესიულ კომპეტენციაზე და არანაირად არ არის დაკავშირებული რაიმე დაინტერესებაზე ფინანსური ან სხვა კუთხით.

წინამდებარე საექსპერტო დასკვნის მომზადებისათვის წარმოდგენილი მასალების სისწორესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია დამკვეთი, ჩვენ კი გვევალება გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით და გავცეთ სათანადო დასკვნა.

შინაარსი

1.დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დასს) მიზანია სტანდარტებისა და მითითებების დადგენა აუდიტორის პროფესიულ პასუხისმგებლობაზე ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებით შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე აუდიტორული გარიგების დროს, აგრეთვე იმ დასკვნის ფორმასა და შინაარსზე, რომელსაც წარადგენს აუდიტორი ამგვარი გარიგების დროს.

2. ეს სტანდარტი ეხება ფინანსურ ინფორმაციაზე გარიგებას, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია არაფინანსურ ინფორმაციაზე გარიგების დროსაც, თუ აუდიტორს გამოსაკვლევი საკითხის შესახებ გააჩნია ადეკვატური ცოდნა და არსებობს დასაბუთებული კრიტერიუმი, რომელსაც დაეყრდნობა მის მიერ მოპოვებული მონაცემები. ეს სტანდარტი წაკითხულ უნდა იქნეს „მარწმუნებველი გარიგებების საერთაშორისო სტრუქტურულ საფუძვლებთან" ერთად. მოცემული სტანდარტის გამოყენებისას აუდიტორისათვის შეიძლება სასარგებლო იყოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ხელმძღვანელობაც.

3. გარიგებამ შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე შესაძლოა აუდიტორისაგან მოითხოვოს ფინანსური მონაცემების ცალკეულ მუხლებზე (მაგალითად, მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულებების ანგარიშები, მოთხოვნების ანგარიშები, დაკავშირებული მხარეებიდან შესყიდვები, სამეურნეო სუბიექტის რომელიმე სეგმენტის გაყიდვა და მოგება), ფინანსური ანგარიშგების რომელიმე კომპონენტზე (მოგებისა და ზარალის ანგარიშგება) ან მთლიან ფინანსურ ანგარიშგებაზე გარკვეული აუდიტორული პროცედურების ჩატარებაც კი.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგების მიზანი

4. შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგების მიზანია აუდიტორმა ჩაატაროს

ისეთი აუდიტორული პროცედურები, რომლებზეც აუდიტორი, სამეურნეო სუბიექტი და რომელიმე შესაფერისი მესამე მხარე იყვნენ შეთანხმებულები, და წარადგინოს ანგარიში აღმოჩენილ ფაქტებზე.

5. რადგან აუდიტორი უბრალოდ წარადგენს დასკვნას შეთანხმებული პროცედურების ჩატარებისას აღმოჩენილ ფაქტებზე, იგი არავითარ რწმუნებას არ გამოხატავს. სამაგიეროდ ანგარიშის მომხმარებლები თვითონ აფასებენ აუდიტორის მიერ დასკვნაში წარდგენილ პროცედურებსა და აღმოჩენილ ფაქტებს და აუდიტორის მიერ შესრულებული სამუშაოდან გამოაქვთ საკუთარი დასკვნები.

6. დასკვნა შეზღუდულია იმ მხარეებთან მიმართებით, რომლებთანაც შეთანხმებული იქნა პროცედურები, რადგან მათ, ვინც არ იციან პროცედურების ჩატარების მიზეზები, შეიძლება არასწორი ინტერპრეტაცია მისცენ შედეგებს.

<u>შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგების ზოგადი პრინციპები</u>

7. აუდიტორი უნდა იცავდეს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსს". ამ ტიპის გარიგებისთვის პროფესიული მოვალეობების განმსაზღვრელი ეთიკური პრინციპებია:

ა) პატიოსნება,

ბ) ობიექტურობა,

გ) პროფესიული კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება.

<u>ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ააიპ „რუსთავსერვის ცენტრი"-ს შესაბამისი სამსახურების მიერ შედგენილი, პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერილი და დირექტორის მიერ დამტკიცებული კალკულაციები (დანართი №5) ააიპ „რუსთავსერვის ცენტრი"-ს მიერ საკუთარი ტექნიკით და შრომითი რესურსებით დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით კერძო იურიდიული და ფიზიკური პირებისადმი შეთავაზებული სხვადასხვა მომსახურების საბაზრო ფასების (ლარებში) გაანგარიშების შესახებ, კერძოდ:</u>

| № | მომსახურების დასახელება | განზო-მილება | ღირებულება კალკულაციის მიხედვით | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ამწე-კალათა 45 მ სიმაღლის | 1 მანქანა/საათი | 55,17 | |
| 2 | ამწე-კალათა 15 მ სიმაღლის | 1 მანქანა/საათი | 40.59 | |
| 3 | ავტო-ამწე 6 ტნ ტვირთამწეობის | 1 მანქანა/საათი | 52,14 | |
| 4 | ა/მანქანა „ზილი" თვითმცლელი | 1 მანქანა/საათი | 36,94 | |
| 5 | ბორბლებიანი ექსკავატორი | 1 მანქანა/საათი | 57,30 | |
| 6 | ელ.განათების ბოძის მონტაჟი | 1 ცალი | 136,00 | |
| 7 | დაგვა-დასუფთავება (დანაგვიანების ხარისხის მიხედვით) | 1000 მ² | 100,20<br>150,00<br>200,00 | მსუბუქი<br>საშუალო<br>ძლიერი |
| 8 | სამშენებლო ნარჩენების გატანა | 3.0 მ³ | 94,73 | 10კმ რადიუსი |
| 9 | ტერიტორიის გათიბვა-დასუფთავ | 1000 მ² | 98,22 | |
| 10 | შემაკავებელი ჯებირების გაქირავება (2.0X1.0მ) | 1 ცალი | 1,00<br>0,60 | 1-5 დღემდე<br>5-30დღემდე |
| 11 | სანიაღვრე ქსელის მოწყობა | 4 გრძ.მ. | 101,76 | |
| 12 | ნიაღვარმიმღები ჭის მოწყობა | 1 ცალი | 67,00 | |
| 13 | სანერგეში გამოყვანილი მცენარეები | კალკულაციის მიხედვით გვ. 14 და 15 | | |
| 14 | ცხოველის კასტრაცია | 1 სული | 61,40 | ძაღლი |
| 15 | ცხოველის სტერილიზაცია | 1 სული | 79,30 | ძაღლი |
| 16 | ვაქცინაცია ანტირაბიული | 1 სული | 10<br>20 | თავშესაფარში<br>ადგილზე |
| 17 | ევთანაზია | 1 სული | 40 | თავშესააფარში გადმოყვანით |
| 18 | კერძო საკუთრებიდან ცხოველის გაყვანა | 1 სული | 50,00 | რუსთავის ტერიტორია |
| 19 | ცხოველის გაყვანა სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან | 1 სული | 50,00 | პლუს ტრანს-პორტირება 1 კმ – 1 ლარი |

ჩვენის აზრით, ჩვენ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულებები იმისათვის, რომ ააიპ „რუსთავსერვის ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი კალკულაციების შესწავლის შედეგად მათი ადეკვატურობა და არსებითობა დაგვედასტურებინა წინამდებარე დასკვნაში:

**დასკვნა:** ააიპ „რუსთავსერვის ცენტრი“-ს დირექტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის აუდიტის შედეგად ვადასტურებთ, რომ ააიპ „რუსთავსერვის ცენტრი“-ს მენეჯმენტის მიერ შემუშავებული კალკულაციების მიხედვით თითოეულ შეთავაზებულ მომსახურებაში სრულად და ადეკვატურად არის გაწერილი ყველა შესაძლო ხარჯი და შემოსავალი. აუდიტორის აზრით, წარმოდგენილ კალკულაციებში ასახული ფასები სრულად შეესაბამება დღეისათვის მოქმედ ნორმებს და არსებულ ბაზარზე დღეს მოქმედი ფასების ადეკვატურია.

შ.პ.ს. „ჯენერალ-აუდიტის“

დირექტორი: ზ. ლომიძე

GENERAL-AUDIT

დანართი №1

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

# ბრძანება

N 84
10/01/2017

## აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში შპს „ჯენერალ-აუდიტი"-ს რეგისტრაციის თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარედგინა შპს „ჯენერალ-აუდიტი"-ს (მეწარმე სუბიექტის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის N216400160, წერილის N260264/21-11; 13.12.2016წ., იურიდიული მის: ქ.რუსთავი, არაყიშვილის 6-8, წარმოდგენილი დირექტორის ზაზა ლომიძის და გარიგების პარტნიორის SARAS-A-977639 სახით) სარეგისტრაციო განაცხადი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რომლითაც მოთხოვნილია შპს „ჯენერალ-აუდიტი"-ს რეგისტრაცია აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-5 პუნქტის „ა", „გ" და „დ" ქვეპუნქტების, „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს შპს „ჯენერალ-აუდიტი"-ს სარეგისტრაციო წარმოება.
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.
3. შპს „ჯენერალ-აუდიტი"-ს მიენიჭოს აუდიტორული (აუდიტური) ფირმის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-911879.
4. გადაწყვეტილება გაეგზავნოს შპს „ჯენერალ-აუდიტი"-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

მერაბ ალექსიძის #1
საქართველო, თბილისი, 0193
ტელ: (032) 2 26 11 92

#1 Merab Aleksidze st.
Georgia, Tbilisi, 0193
Tel: (032) 2 26 11 92

205331228

GEORGIA. RUSTAVI. "GENERAL-AUDIT"
216400160

დანართი №2

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

# ბრძანება

N 85
10/01/2017

აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში ზაზა ლომიძის რეგისტრაციის თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარედგინა **ზაზა ლომიძის** (პ/ნ 35001022249, წერილის N239430/21-11; 17.11.2016წ., იურიდიული მისამართი: რუსთავი, არაყიშვილის 6/8) სარეგისტრაციო განაცხადი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რომლითაც მოთხოვნილია **ზაზა ლომიძის** რეგისტრაცია აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის და „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს ზაზა ლომიძის სარეგისტრაციო წარმოება.
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.
3. მიენიჭოს ზაზა ლომიძეს ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-A-977639.
4. გადაწყვეტილება გაეგზავნოს ზაზა ლომიძეს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

მერაბ ალექსიძის #1,
საქართველო, თბილისი, 0193
ტელ: (032) 2 26 11 92

#1 Merab Aleksidze st.
Georgia, Tbilisi, 0193
Tel: (032) 2 26 11 92

GEORGIA, RUSTAVI, "GENERAL AUDIT" 216400160

დანართი № 3

საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტი

EXPERTISE INSTITUTE FOR VALUATION OF ASSETS OF GEORGIA

# უძრავი ქონების შემფასებლის სერტიფიკატი

№ 078

# CERTIFICATE OF THE REAL ESTATE APPRAISER

ზაზა ლომიძე

Zaza Lomidze

გამგეობის თავმჯდომარე
Chairman of the board

გ. ხმალაძე
G. Khmaladze

რეგისტრაციის თარიღი: 04.03.2017 წ.
ძალაშია: 04.03.2020 წ.

## დანართი № 4

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19069977, 25/06/2019 17:46:57

### სუბიექტი

| | |
|---|---|
| **საფირმო სახელწოდება:** | რუსთავსერვის ცენტრი |
| **სამართლებრივი ფორმა:** | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| **საიდენტიფიკაციო ნომერი:** | 416316016 |
| **რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:** | 25/12/2014 |
| **მარეგისტრირებელი ორგანო:** | სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
| **იურიდიული მისამართი:** | საქართველო, ქ.რუსთავი კოსტავას გამზირი N20 |

**დამატებითი ინფორმაცია:**

ელ. ფოსტა: Rustavi.service.centre@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

### რეორგანიზაციის ისტორია

| რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი | ოპერაცია | რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი | თარიღი |
|---|---|---|---|
| უზრუნველყოფა (416292979) | შერწყმა | რუსთავსერვის ცენტრი (416316016) | 05/02/2018 |

### ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

### ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - გიორგი გოროზია, 62011002197

### ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის



შპს "ჯენერალ აუდიტი" RUSTAVI "GENERAL AUDIT" 216400166

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოვალეთა რეესტრი**

რეგისტრირებული არ არის

---

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ააიპ რუსთავსერვის ცენტრი

დანართი №5

„ვამტკიცებ:"

ააიპ რუსთავსერვის ცენტრის

დირექტორი: გ. გოროზია

-----------------------------------

# საკუთარი ტექნიკით და შრომითი რესურსებით დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით კერძო იურიდიული და ფიზიკური პირებისადმი შეთავაზებული სხვადასხვა მომსახურების

# კ ა ლ კ უ ლ ა ც ი ა

„შემუშავებულია":

ტექნიკური სამსახურის უფროსი - შალვა სომხიშვილი -----------------------

გამწვანების სამსახურის უფროსი - ზეზვა ლუხუმაიძე -----------------------

დასუფთავების სამსახურის უფროსი - გელა შეყელაძე -----------------------

გამწვანების სამსახურის უფროსის მოადგილე - ნუგზარი ძნელაშვილი ---------------

გარე განათების ქსელების ექსპლ. სამს. უფროსი - გულივერ სამუშია -------------

საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (ექსპ.) სამს. უფროსი - ლაშა მიქაუტაძე -----------

უპატრონო ცხოველების ოპერირების განყ. უფროსი - ელიზბარ თუშური -------------

სანიაღვრე სისტემების განყოფილების უფროსი - რობერტი ლოსეურაშვილი -----------

(დანართი: „17" ფურცელი)

## დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით კერძო იურიდიული და ფიზიკური პირებისადმი შეთავაზებული სხვადასხვა მომსახურება

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებებით და სამშენებლო ტექნიკით მომსახურებაზე
   - ამწე - კალათა 45 მ სიმაღლის - 55,17 ლარი
   - ამწე - კალათა 15 მ სიმაღლის - 40,59 ლარი
   - ავტო-ამწე 6 ტნ-იანი - 52.14 ლარი
   - ა/მ „ზილი" თვითმცლელი - 36,94 ლარი
   - ბორბლებიანი ექსკავატორი - 57,30 ლარი
   - ბორბლებიანი ბომის მონტაჟი - 136 ლარი
2. ელექტროგანათების ბოძის მონტაჟი - 100,2 ლარი
3. ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება - 94,73 ლარი
   - სამშენებლო ნარჩენების გატანა - 98,22 ლარი
4. ტერიტორიის გათიბვა-დასუფთავება
5. შემაკავებელი ჯებირების (2.0X1.0 მ) გაქირავება
6. სანიაღვრე/საკანალიზაციო ქსელების მოწყობის ხარჯები
   - სანიაღვრე ქის მოწყობა/მონტაჟი - 67 ლარი-
   - სანიაღვრე ქსელის მოწყობა - 101,76 ლარი
   - სანიაღვრე ქსელის საკანალიზაციო საბაზრო ფასები
7. სანერგეში გამოყვანილი მცენარეების სარეალიზაციო საბაზრო ფასები
8. ცხოველების (ძაღლების) ვეტერინარული და სხვა მომსახურების ხარჯები
   - სტერილიზაცია - 79,30 ლარი
   - კასტრაცია - 61,40 ლარი
   - ვაქცინაცია(ანტირაბიული)-თავშესაფარში-10 ლარი, ადგილზე--20 ლარი
   - ევთანაზია თავშესაფარში გადმოყვანით- 40 ლარი (წარმოდგენილი ვეტერინარული დასკვნის საფუძველზე)
   - რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კერძო საკუთრებიდან ცხოველის გაყვანა--50 ლარი
   - სხვა მუნიციპალიტეტის კერძო საკუთრებიდან ძაღლის გაყვანა -50 ლარი, დამატებული გზის საფასური 1კმ - 1ლარი

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებებით და სამშენებლო ტექნიკით მომსახურებაზე

- ამწე - კალათა 45 მ სიმაღლის

1 მანქანა/ საათით მომსახურების ხარჯთაღრიცხვა:

1. დიზელის საწვავი - 4 ლიტრი x 2.60 = 10.40 ლარი;
2. საპოხი მასალა - 6 ლარი
3. სათადარიგო ნაწილები - 14,50 ლარი
4. მუშა-პერსონალის სახელფასო ფონდი - 15 ლარი
5. გაუთალისწინებელი ხარჯი - 1,39 ლარი

სულ ხარჯი: 47,29 ლარი

- ზედნადები ხარჯი - 8 % - 3,78 ლარი

ჯამი: 51,07 ლარი

- გეგმიური დაგროვება 8 % - 4,10 ლარი

სულ ჯამი: 55,17 ლარი

- ამწე - კალათა 15 მ სიმაღლის

1 მანქანა/ საათით მომსახურების ხარჯთაღრიცხვა:

1. დიზელის საწვავი - 3 ლიტრი x 2.60 = 7.80 ლარი;
2. საპოხი მასალა - 4 ლარი
3. სათადარიგო ნაწილები - 12 ლარი
4. მუშა-პერსონალის სახელფასო ფონდი - 10 ლარი
5. გაუთვალისწინებელი ხარჯი 3% - 1.01

სულ ხარჯი: 34,81 ლარი

- ზედნადები ხარჯი - 8 % - 2,72 ლარი

ჯამი: 37,59

6. გეგმიური დაგროვება 8 % - 3.02 ლარი

სულ ჯამი: 40,59 ლარი

- ავტო-ამწე 6 ტნ-იანი

1 მანქანა/ საათით მომსახურების ხარჯთაღრიცხვა:

1. საწვავი - 4 ლიტრი x 2.60 = 10,40 ლარი;
2. საპოხი მასალა - 4 ლარი
3. სათადარიგო ნაწილები - 14 ლარი
4. მუშა-პერსონალის სახელფასო ფონდი - 15 ლარი
5. გაუთვალისწინებელი ხარჯი - 3 % - 1,30 ლარი

სულ ხარჯი: 44,70 ლარი

- ზედნადები ხარჯი - 8 % 3,58 ლარი

ჯამი: 48,28 ლარი

- გეგმიური დაგროვება 8 % - 3.86 ლარი

ჯამი: 52,14 ლარი

- ა/მ „ზილი“ თვითმცლელი

1 მანქანა/ საათით მომსახურების ხარჯთაღრიცხვა:

1. საწვავი - 7 მ$^3$ X 1.50 = 10.50 ლარი (ბუნებრივი აირი);
2. საპოხი-საცხები - 4 ლარი
3. სათადარიგო ნაწილები - 10 ლარი
4. მუშა-პერსონალის სახელფასო ფონდი - 6.25 ლარი
5. გაუთვალისწინებელი ხარჯი - 3 % - 0,92 ლარი

სულ ხარჯი: 31,67 ლარი

- ზედნადები ხარჯი - 8 % - 2,53 ლარი

ჯამი: 34,20 ლარი

- გეგმიური დაგროვება 8 % - 2,74 ლარი

ჯამი: 36,94 ლარი

- ბორბლებიანი ექსკავატორი

1 მანქანა/ საათით მომსახურების ხარჯთაღრიცხვა:

1. დიზელის საწვავი 1 საათში 7 ლიტრი X 2,60 =18,20 ლარი
2. საპოხ-საცხები მასალა - 5 ლარი
3. სათადარიგო ნაწილები - 12 ლარი
4. მუშა-პერსონალის სახელფასო ფონდი - 12,5 ლარი
5. გაუთვალისწინებელი ხარჯი 3% - 1,43 ლარი

სულ ხარჯი: 49,13 ლარი

- ზედნადები ხარჯი 8% - 3,93 ლარი

ჯამი: 53,06 ლარი

- გეგმიური დაგროვება 8% = 4,24 ლარი

სულ = 57,30 ლარი

## 2. ელექტროგანათების ბოძის მონტაჟი

ერთი ერთეული ელექტროგანათების ბოძის (დამკვეთის კუთვნილი) მონტაჟის ტრანსპორტით და ელექტრიკოსით მომსახურების ხარჯთაღრიცხვა:

1. 6 ტ ავტოამწის მომსახურება 1 სთ (თვითღირებულება) - 43.40 ლარი
2. 45 მ ავტო-კალათის მომსახურება 1 სთ (თვითღირებულება)- 47,29 ლარი
3. მუშა-პერსონალის სახელფასო ფონდი - 22,5 ლარი
4. გაუთვალისწინებელი ხარჯი 3% - 3,40 ლარი

სულ ხარჯი:116,59

- ზედნადები ხარჯი 8% = 9,33 ლარი

ჯამი: 125,92 ლარი

- გეგმიური დაგროვება 8% = 10,02 ლარი

სულ = 136 ლარი

## ტერიტორიის კეთილმოწყობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის მომსახურება

- 1000 მ² ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება
  *(განიხილება მსუბუქი, საშუალო და ძლიერი დანაგვიანების შემთხვევა)*

1. ტრანსპორტირება სპეცმანქანით ადგილამდე და უკან - 28 ლარი
2. სპეც. ინვენტარი - 7,91 ლარი
3. მუშა-პერსონალის სახელფასო ფონდი - 47,5 ლარი
4. გაუთვალისწინებელი ხარჯი 3% - 2,50 ლარი

სულ ხარჯი: 85,91 ლარი

- ზედნადები ხარჯი 8% = 6,87 ლარი

ჯამი: 92,78 ლარი

- გეგმიური დაგროვება 8% = 7,42 ლარი

სულ = 100,2 ლარი

- მსუბუქი დანაგვიანების შემთხვევაში მომსახურების ფასი შეადგენს - 100,2 ლარს;
- საშუალო დანაგვიანების შემთხვევაში ემატება მუშახელი და მომსახურების ფასი შეადგენს - 150,00 ლარს;
- ძლიერი დანაგვიანების შემთხვევაში მუშახელი, აგრეთვე ინსტრუმენტი და მომსახურების ფასი შეადგენს - 200,00 ლარს.

- 3.0 მ$^3$ სამშენებლო ნარჩენების გატანა 10 კმ-მდე რადიუსით

1. დატვირთვა ექსკავატორით 1 სთ (თვითღირებულება) 47,96 ლარი
2. გატანა თვითმცლელით 1 სთ (თვითღირებულება)- 30,88 ლარი
3. გაუთვალისწინებელი ხარჯი 3% - 2,37 ლარი

სულ ხარჯი: 81,21 ლარი

- ზედნადები ხარჯი 8% = 6,50 ლარი

ჯამი: 87,71

- გეგმიური დაგროვება 8% = 7,02 ლარი

სულ ჯამი: 94,73 ლარი

- 1000 მ² ტერიტორიის გათიბვა-დასუფთავება

1. საწვავი ბენზინი 5 ლიტრი X 2,40 =12 ლარი
2. საპოხ-საცხები მასალა - 2,50 ლარი
3. ბენზო ცელის და ბალახის საკრეჭი მანქანის სათადარიგო ნაწილები - 6 ლარი
4. ტრანსპორტირების ხარჯი - 5 ლარი
5. მუშა-პერსონალის სახელფასო ფონდი - 56,25 ლარი
6. გაუთვალისწინებელი ხარჯი 3% - 2,45 ლარი

სულ ხარჯი: 84,20 ლარი

- ზედნადები ხარჯი 8% = 6,74 ლარი

ჯამი: 90,94 ლარი

- გეგმიური დაგროვება 8% = 7,28 ლარი

სულ ჯამი: 98,22 ლარი

- შემაკავებელი ჯებირების (2.0X1.0 მ) გაქირავება

1. 1-დან 5 დღემდე ვადით გაქირავება (1 ცალი) – 1.00 ლარი;

2. 5 დღიდან 1 თვემდე ვადით გაქირავება (1 ცალი) – 0,60 ლარი;

# 4 გრძ/მ სანიაღვრე ქსელის მოწყობა

1. მუშა-პერსონალის სახელფასო ფონდი - 25 ლარი
2. ტრანსპორტის ხარჯი (გატანა და მიწის გათხრა) – 59,70 ლარი
3. გაუთვალისწინებელი ხარჯი 3% - 2,54 ლარი

სულ ხარჯი: 87,24 ლარი

- ზედნადები ხარჯი 8% = 6,98 ლარი

ჯამი: 94,22 ლარი

- გეგმიური დაგროვება 8% = 7,54 ლარი

სულ ჯამი: 101,76 ლარი

ნიაღვარმიმღები ჭის მოწყობა - 67 ლარი

## სანერგეში გამოყვანილი მცენარეების სარეალიზაციო საბაზრო ფასები

| # | მცენარეთა დასახელება | ნერგის ფასი ასაკის მიხედვით | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 წელი | 4 წელი | 3 წელი | 2 წელი | 1 წელი | |
| 1 | შავი ფიჭვი | 120 | 100 | 70 | 30 | 10 | 3 წლიანი - 2მ |
| 2 | ელდარის ფიჭვი | 170 | 150 | 70 | | | 3 წლიანი - 2მ |
| 3 | კიპარისი | 100 | 90 | 60 | 10 | 5 | 3 წლიანი - 2მ |
| 4 | ტუია ბრაბანული | 15 | | | | | 5 წლიანი - 2მ |
| 5 | ტუია ბრაბანული | 50-60 | 40 | 10 | 5 | 3 | |
| 6 | თრიმლი | 60 | 50 | 40 | | | |
| 7 | ირმის რქა | 140 | 120 | 100 | 50 | 10 | |
| 8 | ტირიფი | 70 | 50 | 20 | 10 | 5 | 5 წლიანი - 2მ |
| 9 | პალმა | 60 | 50 | | | | 4 წლიანი - 0,7მ |
| 10 | დეკორატ. კრაზანა | 70 | 60 | 50 | 30 | 5 | |
| 11 | სპირეა | 70 | 60 | 50 | | | |
| 12 | სპირეა იაპონური | 50 | 40 | 30 | | | |
| 13 | ვარდი ჰოლანდიური | 30 | 20 | 10 | 10 | 5 | |
| 14 | ვარდი ჯუჯა ინგლ. | 45 | 35 | 25 | 15 | | |
| 15 | კოწახური მწვანე | 45 | 35 | 25 | 15 | | |

## სანერგეში გამოყვანილი მცენარეების სარეალიზაციო საბაზრო ფასები

| | დასახელება | ფასი (ლარი) | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | ცინარერია | 10 | |
| 2 | როზმარინი | 5 | |
| 3 | მწ. ემორიუსი | 10 | |
| 4 | ოლეანდრა | 30 | საშალო ფასი სიმაღლის მიხედვით |
| 5 | ბზა | 15 | |
| 6 | სირვაშლა | 10 | |
| 7 | ლავანდა | 20 | |
| 8 | ჰიბისკუსი | 5 | |
| 9 | მდგნალი | 5 | |
| 10 | ვეიგელა | 20 | სიმაღლე 2.5 მ |
| 11 | ჟოზეფინა | '10 | |
| 12 | ალბიცია (აბრეშ.აკაცია) | 5 | |
| 13 | ჯუჯა ვარდი | 15 | |
| 14 | კოწახური (წითელი) | 5 | |
| 15 | აკაცია | 3 | |
| 16 | ნეკერჩხალი | 3 | |
| 17 | ალვის ხე | 5 | |
| 18 | ბროწეული | 5 | |
| 19 | იუკა | 20 | |
| 20 | ველური შინდი | 25 | |
| 21 | პრეზიდენტი | 5 | |
| 22 | ტეკომა | 5 | |
| 23 | გველის სურო | 5 | |
| 24 | კნაფოფია | 10 | |
| 25 | ლილია | 3 | |
| 26 | ბიზბიზელა | 2 | |
| 27 | რუდბეკია | 3 | |
| 28 | დიზიმახია | 2 | |
| 29 | ქრიზანთემა | 5 | |
| 30 | კანა | 3 | |
| 31 | მამლის ბოლო | 2 | |
| 32 | ყვითელი ყვავილი | 2 | |

# ვეტერინარული მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

## კასტრაცია

1. კალიფსოლი -2 მლ - 1,27 ლ
2. რელანიუმი - 2 მლ - 0,84 ლ
3. ქსილაზინი - 5 მლ - 1,75 ლ
4. ანტიბიოტიკი - 10 კგ - 1 მლ - 0,40 ლ
5. სტერილური ხელთათმანი - 1 წყ. – 0,65 ლ
6. ვენის კათეტერი - 1 ც - 1,10 ლ
7. რინგერი - 1 ც - 1 ლ
8. სისტემა გადასხმის - 1 ც - 0,77 ლ
9. ლანცეტის პირი - 1 ც - 0,38 ლ
10. ძაფი - 1 ც- 4,7 ლ
11. სტერილური ტამპონი 1 ც - 1,5 ლ
12. სპირტი - 20 მლ - 0,17 ლ
13. ბამბა - 1ც- 0,45 ლ
14. ლეიკოპლასტირი - 0,20 ლ
15. იოდი - 0,12 ლ
16. წყალბადის ზეჟანგი - 20 მლ. – 0,26 ლ
17. ფორტიკლი -სპრეი - 0,54 ლ
18. სტერილური გადასაფარებელი- 1 ც- 2 ლ
19. ტკივილგამაყუჩებელი - 1 ამპ. – 0,16 ლ
20. შპრიცი 2 მლ. – 3ც - 0,27 ლ
21. შპრიცი 5 მლ - 3 ც - 0,30 ლ
22. შპრიცი 20 მლ - 1 ც - 0,18 ლ
23. ნიღაბი - 1 ც - 0,24 ლ
24. ერთჯერადი ხალათი - 2 ც- 3 ლ
25. საჯდე (ბირკა) – 1 ც - 0,45 ლ
26. არასტერილური ხელთათმანი - 4 წყ. – 0,89 ლ
27. ნოვოკაინი - 1 ამპ. – 0,77 ლ
28. სამედიცინო ქუდი ერთჯერადი - 2 ც - 0,38 ლ
29. ქირურგიული იარაღბის სადეზინფექციო ხსნარი - 0,60 ლ
30. საპონი თხევადი ხელის დასამუშავებლად - 0,77 ლ
31. გისკანი 5 – 1 დოზა - 8,50 ლ

1. კასტრაციისათვის მედიკამენტების საერთო ფასი შეადგენს დაახლ. – 34,61 ლარი
2. საკვების ხარჯი 3 დღის - 4 ლარი ერთ ძაღლზე
3. მუშა-პერსონალის სახელფასო ფონდი - 12,50 ლარი
4. გაუთვალისწინებელი ხარჯი 3% - 1,53 ლარი

სულ ხარჯი: 52,64 ლარი

- ზედნადები ხარჯი 8% - 4,21 ლარი

ჯამი: 56,85 ლარი

- გეგმიური დაგროვება 8% = 4,55 ლარი

სულ ჯამი: 61,40 ლარი

## სტერილიზაცია

1. კალიფსოლი -2 მლ - 1,27 ლ
2. რელანიუმი - 2 მლ - 0,84 ლ
3. ქსილაზინი - 5 მლ - 1,75 ლ
4. ანტიბიოტიკი - 10 კგ - 1 მლ - 0,40 ლ
5. სტერილური ხელთათმანი - 1 წყ. – 0,65 ლ
6. ვენის კათეტერი - 1 ც - 1,10 ლ
7. რინგერი - 1 ც - 1 ლ
8. სისტემა გადასხმის - 1 ც - 0,77 ლ
9. ლანცეტის პირი - 1 ც - 0,38 ლ
10. ძაფი - 3 ც- 14.1 ლ
11. სტერილური ტამპონი 2 ც - 2 ლ
12. სპირტი - 20 მლ - 0,17 ლ
13. ბამბა - 1ც- 0,45 ლ
14. ლეიკოპლასტირი - 0,20 ლ
15. იოდი - 0,12 ლ
16. წყალბადის ზეჟანგი - 20 მლ. – 0,26 ლ
17. ფიორტიკლი -სპრეი - 0,54 ლ
18. სტერილური გადასაფარებელი- 1 ც- 2 ლ
19. ტკივილგამაყუჩებელი - 1 ამპ. – 0,16 ლ
20. შპრიცი 2 მლ. – 3ც - 0,27 ლ
21. შპროცი 5 მლ - 3 ც - 0,30 ლ
22. შპრიცი 20 მლ - 1 ც - 0,18 ლ
23. ნიღაბი - 1 ც - 0,24 ლ
24. ერთჯერადი ხალათი - 2 ც- 2 ლ
25. საჯდე (ბირკა) – 1 ც - 0,45 ლ
26. არასტერილური ხელთათმანი - 4 წყ. – 0,89 ლ
27. ნოვოკაინი - 1 ამპ. – 0,77 ლ
28. სამედიცინო ქუდი ერთჯერადი - 2 ც - 0,38 ლ
29. ქირურგიული იარაღბის სადეზინფექციო ხსნარი - 0,60 ლ
30. საპონი თხევადი ხელის დასამუშავებლად - 0,77 ლ
31. გისკანი 5 – 1 დოზა - 8,50 ლ

1. სტერილიზაციისთვის მედიკამენტების საერთო ფასი შეადგენს დაახლ. – 43,51 ლარი
2. საკვების ხარჯი 3 დღის - 5 ლარი ერთ ძაღლზე
3. მუშა-პერსონალის სახელფასო ფონდი - 17,50 ლარი
4. გაუთვალისწინებელი ხარჯი 3% - 1,98 ლარი

სულ ხარჯი: 67,99 ლარი

- ზედნადები ხარჯი 8% - 5,44 ლარი

ჯამი: 73,43 ლარი

- გეგმიური დაგროვება 8% - 5,87

სულ ჯამი: 79,30 ლარი

# საქართველო

## ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის

## ბრძანება № 107

2018 წლის 31 იანვარი

საქართველო, ქალაქი რუსთავი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ რუსთავის დასუფთავება “-ს ახალი სახელწოდების განსაზღვრისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავსერვის ცენტრი“-ს წესდების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, $106^1$ მუხლის, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N9 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 06 დეკემბრის N44 განკარგულების შესაბამისად

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „უზრუნველყოფა“-ს (ს/კ:416292979) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ რუსთავის დასუფთავება “-ს (ს/კ:416316016) რეორგანიზაციის (შერწყმა/მიერთება) დასრულების შემდეგ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ რუსთავის დასუფთავება “-ს (ს/კ:416316016) სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავსერვის ცენტრი“.
2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავსერვის ცენტრი“-ს წესდება თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავსერვის ცენტრი“ -ს დირექტორს გოჩა ნასყიდაშვილს (პ/ნ: 35001027388) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავსერვის ცენტრი“-ს წესდების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ დარეგისტრირება;
4. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 1 თებერვლიდან;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქუჩა N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ რუსთავის
მუნიციპალიტეტის მერი

ირაკლი ტაბაღუა